

შპს ნოვა პროდაქშენს

**ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული
საანგარიშო პერიოდისთვის**



1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ნოვა პროდაქშენს“ 202426017 (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას. შპს „ნოვა პროდაქშენს“-ი არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 4 ოქტომბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მერაბ კოსტავას 68.

კომპანიის დამფუძნებლები არიან :

დემნა ჯაფარიძე (35001035564) - 50%

გიორგი ხაბურძანია (65007000026) - 50%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარში).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლისა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული შეფასების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

2.3 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულია საანგარიშო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.



2.4 მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანასა და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანისათვის გაწეულ ხარჯებს, მზა საქონლისა და დაუმთავრებელი სამუშაოს თვითღირებულება მოიცავს ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური საოპერაციო მოცულობის საფუძველზე, მაგრამ სესხების ხარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში, სამუშაოების დასრულების ხარჯებისა და გაყიდვისთვის აუცილებელი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის გამოკლებით. მოძველებული ან ნელი მოძრაობის მარაგების უზრუნველყოფა არ ხდება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

	12/31/2020	12/31/2021
დაუმთავრებელი პროდუქცია	419,218	
საწვავი	3,838	206
საგადასახადო აქტივი	50,612	51,443
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	473,668	51,649

2.5 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს კომპანიის მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული პროცენტების მიხედვით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენებით. ძირითადი



საშუალების გაყიდვის , ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები
ბალანსი 01/01/2019	327	5,802	4,913	810
დანამატები	1,118	7,906	7,947	
ცვეთა პერიოდისათვის	(196)	(1,774)	(1,444)	(126)
ბალანსი 31/12/2019	1,249	11,934	11,417	684
დანამატები			28,558	
აქტივების ჩამოწერა				
ცვეთა პერიოდისათვის	(331)	(1,748)	(6,544)	(150)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა				
ბალანსი 31/12/2020	918	10,186	33,431	534
დანამატები		650		2,665
აქტივების ჩამოწერა				
ცვეთა პერიოდისათვის	(331)	(1,770)	(6,686)	(747)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა				
ბალანსი 31/12/2020	587	9,066	26,745	2,452
ბალანსი 31/12/2018	327	5,802	4,913	810
ბალანსი 31/12/2019	1,249	11,934	11,417	684
ბალანსი 31/12/2020	918	10,186	33,431	534
ბალანსი 31/12/2021	587	9,066	26,745	2,452

2.6 ფინანსური ინსტიტუტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს



ვადა გასდის, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკები გადადის სხვა პირზე.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია ყველაზე ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. ყველა შემოსავალი და ხარჯი დაკავშირებული ფინანსურ აქტივებთან აღიარებულია ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად - „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური შემოსავალი“

2.7 სესხები და სხვა მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კვოტირებული აქტიურ ბაზარზე, აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

2.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან მოთხოვნა ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

	12/31/2020	12/31/2021
სავაჭრო მოთხოვნები	1,296,956	1,418,297
გადახდილი ავანსები	8,000	9,200
სულ მიმდინარე მოთხოვნები	1,304,956	1,427,497



2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულის გზაში.

ფული და ფულადი ექვივალენტები

	12/31/2020	12/31/2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	18,983	100,793
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	216,023	20,734
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	235,006	121,528

2.10 ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

2.11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან მოთხოვნა ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.



სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2020	12/31/2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	359,880	373,859
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	38,180	
მიღებული ავანსები	517,141	13,190
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1,998	3,737
სულ მიმდინარე ვალდებულებები	917,200	390,786

2.12 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის პარტნიორების მიერ. აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

2.13 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინ წლებიდან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება განაწილებული მოგება და ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.



2.14 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა :

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში დასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- შემოსავალი თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულება

	2020	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,785,092	3,701,106
თვითღირებულება	(1,874,665)	(2,389,657)
სულ წმინდა შემოსავალი	910,428	1,311,449



ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	121,528	235,006	63,930
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,418,297	1,296,956	2,420,614
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9,200	8,000	-
დაუმთავრებელი პროდუქცია		419,218	37,697
სხვა მოკლევადიანი აქტივები	51,649	54,450	60,823
სხვა არამატერიალური აქტივები	3,073	3,073	3,073
ძირითადი საშუალებები	38,849	45,069	25,283
სულ აქტივები	1,642,595	2,061,772	2,611,420
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	387,049	359,880	763,359
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		38,180	473,461
საგადასახადო ვალდებულებები			220,092
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	672	672	204,297
სხვა ვალდებულებები	3,065	519,140	45,220
სულ ვალდებულებები	390,786	917,872	1,706,429
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,251,809	1,143,900	904,991
სულ საკუთარი კაპიტალი	1,251,809	1,143,900	904,991
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,642,595	2,061,772	2,611,420



საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	3,701,106	2,785,092
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	(2,389,657)	(1,874,665)
საერთო მოგება	1,311,449	910,428
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(805,180)	(424,388)
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	(9,535)	(8,773)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		(617)
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(18,487)	(227,856)
სულ საოპერაციო ხარჯები	(833,202)	(661,634)
საოპერაციო მოგება	478,247	248,794
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	1,096	(10,128)
განაწილებული დივიდენდები	(371,433)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		171
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	107,909	238,838

შპს ნოვა პროდაქშენს

დირექტორი

01.10.2022